

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 — 6	6	—
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთა შაურა.

ივერია

გაზეთის დასაყვეთად და გერბი განცხადებ-
ბათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ
რედაქციას, ანალო-ბეგუთოვის ქუჩაზედ, სან-
ლი № 9, შვედლოვს საგაზეთოს, ცენტრალ-
ურსა და გრიქოვის წიგნების მაღაზიებს.

უასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრი-
ქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ 1 ივნის- სიღამ წლის დაბლოკამდე ღირს 6 მან. 50 კაპ.

ტფილისი, 11 ივნისს

ევროპას რომ კაცმა თავი გა-
დაავლავს და თვითვეულის სახელ-
მწიფოს საქმეთა მდინარეობას და-
უკვირდეს, შეჰქინნავს რომ ყოფი-
ცხოვრება ევროპისა, შინაური, თუ
საგარეო ისე დალაგებული არ
არის, როგორც სანატრელია. სა-
ბერძნეთის პოლიტიკამ ფერი იკვი-
რა ევროპის ძალ-დატანებით და
დელიანისის საომარი პოლიტიკა
ტრიკუპისის მშვიდობიან პოლი-
ტიკაზედ შეიცვალა. ყველასათვის
კი ცხადია, რომ საბერძნეთმა
გულში ჩაიკეტა თავისი ჯვარი
და ჯვარის ამოყრა, რაკი
დღეს ვერ მოუხერხდა, სახვადოდ
გადასდო და ამისათვის შესაფერს
დროს მოელოდინება. თქმა არ
უნდა, რომ ეს დრო არ დაიკვი-
ნებს. საბერძნეთმა ეს კი გამოიტა-
ნა ამ ალიანქოთიდა, რომ რუსე-
თი და საფრანგეთი თავის მომხ-
რედ იყვნ.

სერბია როგორც კარგად
და საგარეო პოლიტიკას და ში-
ნაურს განწყობილებას შეუდგა.
ბოლგარიამ უკვე შეჰკრიბა საერ-
თო საერო კრება ბოლგარ-
რუმელიისა და მთავარმა ალექ-
სანდრემ ერთი ისეთი სიტყვა
წარმოასტკვა კრების გამართვის
პირველ დღეს, რომ ვერაფ-
რად ეტანება ავსტრიასა, რო-
მელსაც ძალიან სწყენია, — მთავარ-
მა რად მოიხსენა სერბია ისე და-
ბახუნებულად და ძლიერად.
მთავარმა სერბიის გამო სტკვა,
რომ თუ ძლიერს მომხრეს სერ-
ბიისას, (ესე იგი ავსტრიას) არ და-
ვებრკობდებიეთო, სერბიის პირ-
ქვე დავამბობდითო. ეს სწყენია
სერბიის თავ-მოყვარეობისათვის და
ავსტრიასაც არ შეიძლება არ სწყე-
ნოდან, რადგანაც იგია ყოვლად
მფარველი სერბისა. ინგლისს ძა-
ლიან მოსწონებია ბოლგარიის
მთავრის ქცევა.

ავსტრი-ვენგრიაში განხეთქილება
ვენგრეთს და ავსტრიელთა შორის.
ამ მხრით ვენგრიაში ბევრი უსამოვ-
ნობა მიაყენა მთავრობას ასე, რომ
ამბობდნენ კიდევ, ვითომ მთავარ
მინისტრი ტისსა სამსახურიდან გა-
დადგებაო. გარდა ამისა, ავსტრიის
ჯარები რადაც მოძრაობაში არიან
ჩერნოგორიის სამზღვრებზედ, სა-
ცა ავსტრიამ ამ ბოლოს ხანებში
ციხე-სიმაგრეები ააშენა. ჰერცოგო-
ვინის პროვინციაში, რომელსაც
პლევლის ოლქს ეძახიან, ავსტ-

რი-ვენგრის ჯარები მიდ-მოდიან,
თითქო საომარად საითმე მიეზიდე-
ბიანო. ეს ამბავი გაზეთებმა ისე
ახსენეს, ვითომ ავსტრი-ვენგრია
ჩერნოგორიას უპირებს თავ-დას-
მასაო და აქედამ შეესევა ძველს
სერბიის და მკედონიასაო. ეს ხმე-
ბი ენდა მიჩუმებულია, მაგრამ
მინც-და-მინც საყურადღებოა დი-
ლომატიისათვის.

თვითონ ჩერნოგორიაში თა-
ვადი ყარაგორკვიჩი, სიძე ჩერ-
ნოგორიის მთავრისა და მოცი-
ლე სერბიის ტახტისა, დიდს მე-
ცადინეობაში თურმეა, რომ
არის როგორმე სერბიელები და
ტახტი სერბიის კოროლისა ხელ-
ში ჩაიგდოს. ოსმალოც როგორ-
დაც ეკურკურება თურმე ყარაგე-
ორკვიჩის გვარეულობას და ამ
ბოლოს დროს სულთანმა ერთს
მათგანს უბოძა კიდევ ნიშანი მე-
ჯიდისა პირველ ხარისხისა,
თუმც კი ჭეშოცვენ, რომ ამ კურ-
კურს არავითარი კავშირი არა აქვს
პოლიტიკასთანო. თვითონ ოსმა-
ლითაც დიდს მზადებაშია, თითქო
ოღს საიდამდე მოელოდესო, ნამეტ-
ნავად ცდილობენ თურმე შავის
ზღვის ძალიატი ყოველის შემთხვე-
ვისათვის მოამზადონ და საომარ
ფეხზედ დააყენონ. ეს მით უფრო
უკვირთ, რომ დღეს ოსმალოს
საჩუქარი არავისთან არა აქვს-რა,
რაკი საბერძნეთმა თოფ-იარაღი
აიყარა. გაზეთებს უკვირთ — ეგ მზა-
დება რამ გამოიწვიაო და რას უნ-
და მოასწავებდესო.

იტალიაში დეპრეტისის სამინ-
სტრომ განსაცდელი გამოიარა,
არჩევანის გამარჯვება დეპრეტის-
ისის პოლიტიკას დაარჩა. გამარ-
ჯვება დეპრეტისისა იმოდენად
ძლიერი არ არის, როგორც მო-
ელოდდა თვით დეპრეტისი, მაგ-
რამ იმოდენად სავაია, რომ დე-
პრეტისმა შესაძლოად დაინახა მთა-
ვარ-მინისტრობიდან არ გადა-
დგარიყო.

საფრანგეთში პრინციების გან-
დევნის საქმე მიიპყრო ამ ბო-
ლოს დროს ყოველივე ყურა-
დებმა დიპლომატიისა და საფრან-
გეთისა. გაზეთები, რომელთაც
ხალისი აქვთ გულთ-მისნობისა,
ამ პრინციების განდევნის საქმეს
და აწ გარდაცვალებულის ბავარიის
კოროლის საქმეს შუა რადაც კა-
ვშირსა ჰხედვენ. ამბობენ, რომ
ბავარიის კოროლს, რომელსაც
ბოლოს დროს საშინელი ვაღე-
ბი დაატყდა; მიუმართნია გრაფის
პარიეელისათვის ფულის სასესხე-
ბლად და ამ გარემოებიდან გამო-
ჰყავთ ვითომც ბავარიის კოროლს
და გრაფ პარიეელს, რომელსაც
საფრანგეთში გამეფების სურვილი
დღეს აქამომდე არ ასვენებს, ერ-
თმანეთში რაიმე პირობა ექნებო-

დას.ო გერმანიის წინააღმდეგო.
შორ-მხედველი გაზეთები ამას აბ-
რალებენ, რომ ამ ბოლოს ეამს
გაზეთები საფრანგეთისა და გერ-
მანიისასე ძლიერ გაუკაპასდნენ
ერთმანეთსაო.

თვითონ გერმანიაში დიდი მოძ-
რაობა თურმე პროტესტანტებისა.
მას აქედ რაკი ბისმარკმა გული
მოიბრუნა რომის პაპისაკენ და
კათოლიკეთა სამღვდლოებს ძვე-
ლი უფლებანი თითქმის ისევ და-
უბრუნა, პროტესტანტები შეჰქინ-
დნენ, ვაი თუ კათოლიკეთა სამ-
ღვდლოების გაძლიერებამ ჩვენს
სარწმუნოებას ავნოს რამეო და
განსაცდელის ასაცილებლად სხვა-
და-სხვა დონეს ეძიებენ. ბევრგან
თურმე იკრიბებიან პასტორები და
პროტესტანტობის მომხრენი, ჰქა-
დაგობენ და ჰლოპარკობენ მასზედ
თუ, — როგორ გაემკლავონ და
შეეჭიდნენ კათოლიკეთა სამღვდე-
ლოების გაძლიერებას. ბელგიაში
არჩევანის გამარჯვება კათოლიკე-
თა დასს დარჩა, ამ დასს მრ დე-
პუტატი ჰყავს თურმე ენდანდელს
პარლამენტში და დიბერალებს კი
მარტო ორმოკი.

ისპანიაში დონ-კარლოსი თავისას
ცდილობს, იძახის რომ ისპანიის
ტახტის მემკვიდრეობა მე მეტუთვ-
ნისო და მინამ ცოცხალი ვარ მგ
ტახტს არავის დაუთმობო. დონ-
კარლოსს კარგა მომხრე ჰყავს ის-
პანიაში და ეს გარემოება ძალიან
აფიქრებს ენდანდელს სამინისტ-
როსა, რომელსაც გარდა ამისა
სხვა მტერიცა ჰყავს, უფრო გავ-
დენიანი და უფრო საქმიანი. ეგ
მტერი რესპუბლიკელთა დასია,
რომელთ შორისაც გამორჩენილი
ორატორები და საქმიანი კაცები
ითვლებიან.

აი ამ ყოფაში არის დღეს ევრო-
პა. ჩვენ აქ ინგლისი არ მოვიხსე-
ნიეთ, რადგანაც მისი დღევანდე-
ლი ყოფა ერთს დიდს საკავობ-
რიო საქმეზეა მიმდგარი და დღე-
ვანდელი მდგომარეობა ამ საქმისა
მეტად რთულია და ცალკე წე-
რილს მოითხოვს.

ახალი ამბავი

* * როგორც ჩვენ მკითხველებსაც
მოესვენებთ, ქალაქის გამგებამ
შეადგინა წესები და ცხენის რკინის
გზის მართველობას სთხოვა, მისგან
შედგენილ წესებზე ეწარმოებინათ სა-
ქმე. ამ წესებში სხვათა შორის იყო
მოსხენებული, რომ გზის მართვე-
ლობამ ერთი-და-ერთი გამოიკლიოს,
თუ რამდენი უნდა იჯდეს ყოველ მა-
ტარებელში და ამ გამოკლევის
თანხმად, უბრძანოს კონდუქტორებს,

რომ მეტის ჩასმის ნება არა ჰქონ-
დეთ მატარებელში. თუმც ეს ასეა,
მინც თითქმის ყოველ კვირა დღეო-
ბით ისე ივსება მატარებლები, რომ
წემის ყურწი არ ჩავარდება შიგა.
ამას გარდა არც წესი და რიგია და-
ცული მსხდომარეთა შორის, რომ
მელსაც ხშირად თვითონ კონდუქ-
ტორები არღვევენ. ამას წინედ ჩვენ
თვითონ მოგვიხდა დასწრება, კონ-
დუქტორმა ერთი ქალი ისე შეა-
წუხა, რომ ეს ქალი ხან აქვთ გადა-
ჯდა, ხან იქით და ბოლოს იძულე-
ბული იყო გადმომხტარყო.

* * ქალაქის გამგებამ განკარ-
გულება გაუცია, რომ ჯანგირა, რომ
მელიც ახალ ბალსა და სემინარიის
შუა, და რომლიდანაც წვიმის წყა-
ლი ჩადის ხევიში, სხვაგან გადაიტა-
ნონ ამის გამო ეხლა ბალში უფრო
წმინდა ჰაერია, ვიდრე იყოფო.

* * ბ-ნოვის მოკელის ამბავის შე-
სახებ, რომელიც ჩვენს გუშინწინდელს
„ივერია“-ში იყო დაბეჭდილი, აი
კიდევ რა გავიგეთ: ბ-ნოვს თ—შეი-
ლისათვის უსესხებია 300 მანათი და
ბოლოს რამდენიმე ხნის შემდეგ ეს
ფული ღიდის სარგებლის გამო 2,000
მანათი გამხდრა თურმე. ამ ხანებში
ბ-ნოვი ცხინვალში რომ ყოფილა,
თ—შვილს 600 მანათი მიუცია და
დანარჩენი დამაცალეო, უთხოვინია.
ბ-ნოვი უარზე დასდგამია, გინდა
თუ არა უნდა გადამიხადოფო.
თ—შვილს ბ-ნოვის ქალაქში ჩამოსე-
ლისას ხან ერთი ტყე გამოუგზავნია,
ხან მეორე ფულში ასაღებდა, როგორც
პირობა შეუკრავთ. მაგრამ ბ-ნოვი
სულ იწუნებდა თურმე და უკან უგ-
ზავნიდა. ამ ბოლოს დროს ბ-ნოვი
მისულა და უეცრივ აუწერია მთელი
ქონება თ—შვილისათვის. თ—შვილს
ევრ მოუთმენია, ჯერ თვითონ დაურ-
ტყავს, ახლა ბიჭებისათვის დაუძნინა
და ცემით მოუკლევინებია მოვა-
ლევ.

* * 8 ივნისს, ღაბორაჭორის ქუჩაზედ,
თავად მუნრან-პაჭონის სახლების მდგომარის
ბაზანას სადგომი გაუტყენიათ და 42 მანა-
თის სხვა-და-სხვა ავეჯი გაუტყენიათ. მურ-
დობაში დაშინავედ ალექსანდრე გონა-
რენკო აღმოჩნდა, რომელსაც მოპარული
ავეჯი უპოვნეს. დაშინავედ დატუსაღებულა
და საქმე გამოამიჯუნეს გარდაცვა.

* * შორაპნის მარაში ოთხშა-
ბათს, 4 ივნისს ნაშუადღევს საათის
სამზე ისეთი ქარიშხალი ამოვარდა,
რომ სახლის სახურავები მთლად და-
გლიჯა, ხეები ზოგი დაამტვრია და
ზოგი ძირიანად მოთხარა; ეწინაების
ვაზები მთლად დაამსხვრია და სოფ-
ლის მცხოვრებლებს დიდი ზარალი
მისცა.

* * ამავე მარაში ხუთშაბათს, 4
ივნისს მამასახლისი მოვიდა სოფელს

ტაბაქინში, სადაც სოფლის ხალხი
შეყარა და ამოაჩნია მათგან ოცის
თავები. რომელთაც უნდა აღწერონ
სოფლის მცხოვრები და მასთანვე
უნდა წარუდგინონ თითოეულმა ოცის-
თავმა მამასახლისს დანიშნულ ვადა-
ზედ მღვდლისაგან მიცემული მეტრი-
კის მოწმობა თვითველ მამრობითს
სქესზედ.

* * დაბა ყვირილაში მთელ შო-
რაპნის მარაშიდამ მოწვეულნი იყვნენ
მარაის უფროსის ბ. ფეიშოვისაგან
ცხენების პატრონები თავიანთ ცხენე-
ბით, რომლებიც შეამოწმა ქ. ქუთა-
ისიდან მოსულმა მკურნალმა, და
არც ერთი აუღ-მყოფი ცხენი არ აღ-
მოჩენილა.

* * მთელს ზემო-იმერეთში მოსა-
ვალს კარგი პირი უჩანს და ჯერ-
ჯერობით ამინდებიც საუცხოვოა.

* * მთავარ-მმართველს ბ. დონ-
დუკო-კორსაკოვს რომ თხოვნა მიარ-
თვეს დ. ყვირილიდან ჰიათურამდე
რკინის გზის გაყვანის თაობაზედ, რო-
გორც ამბობენ, არ მოხდება შავი-ქვის
სიკოტავის გამოვო, თუმცა ბ. დონ-
დუკო-კორსაკოვმა ნება დართო ამ
თხოვნაზედ.

* * უმაღლესის ბრძანების თანა-
ხმად გარდაწყვიტვილა, რომ კახეთში
ახლად შექმნილ „უდელის“ მამულე-
ბის საქმეების მწარმოებლად დაწეს-
დეს ცალკე გამგებმა წინადადში,
რომელიც საზოგადო სა-„უდელი“ მა-
მულეების დეპარტამენტს უნდა ექვე-
მდებარებოდეს. ამ დაწესებულების სა-
ქმეთა გამგეთ და მოთვედ დაუნიშ-
ნათ ნაღვარნი სოვეტნიკი და სასახ-
ლის კამერგერი ბაგაგოუტი.

* * ამ უქანსკენლს დროს ყუბა-
ნის მარაში დათარეშობდა ბრბო
ავაზაკებისა კატარგიდგან გამოქცეუ-
ლის პასანას მოთავეობით და გაზაფ-
ხულის დაწყებდგანვე ხალხს მოსე-
ნებას არ აძლევდა. ენლა, როგორც
გვატყობინებს ვაზ. „Каспий“, ეს ავა-
ზაკები სრულიად დაუბოცაეთ სოფელ
ამსარს ახლო. ბძიძოლასში ავაზაკთაგან
თვით პასანა მოუკლავთ და ერთიც
კიდევ სხვა ავაზაკი, ორი დაუჭერიათ
და მესუთეკი, თუმცა დაჭრილი, გაქ-
ცეულა.

* * შარშან ამიერ-კავკასიის რკი-
ნის გზის გამგებამ ბ-ნი მარგრაფი
გაგზავნა ალქირში ესრედ წოდებუ-
ლის მცენარე ალფას გამოსაკლევედ.
ამ ალფას ძალიან სასარგებლოა
შხმარებენ ინგლისელები და მისგან
მშვენიერს სხვა-და-სხვა გვარს ქა-
ლალს აკეთებენ. ეს მცენარე ძალიან
კარგადა ხეირობს უწყლო და ქვი-
შიან ადგილებში. თითქმის არაფერ
იკოდა და არავისა ჰქონდა ეს მცე-
ნარე გამოკლეული, და საფრანგე-

გ) დაშინებულნი წვერნი სა-
ზოგადოებისა: ა) თელავში—გ. ან-
სტასია დაკათას ასული ჩოლაყაშვილი-
ს. ბ) თიანეთში—ს. თ. სასანაშვილი,
გ) ლუშეთში—ალექსანდრე სვიმონის-
ძე გამრეკელი და დ) ნინო კონსტანტინის
ასული ნატროშვილისა, ე) ახალ-ციხეში
—ოლგა სიკოლოზის ასული ალექსი-
შვილისა, ვ) სურამში—თ. ქაიხოსრო-
სიყვარული, ზ) ახალ-ქალაქში—ილია
სოლომონის ძე ალხასაშვილი, ლ) მან-
გლისში—კონსტანტინე იოსების-ძე ყუ-
რთაშვილი, თ) საგარეჯოში—ალექსან-
დრე სუბედი-ძე ცხეკაძე, ი) ქუთაის-
ში—ალექსი ბესარიონის-ძე ჭიჭინაძე,
იბ) თ. კირილე ბუქინის-ძე ლორთქიფ-
ანიძე, და იბ) სილოვან სურდაძე, ივ)
ხონში—გ. სოფიო წულუკისა, იდ)
სახჩერში—ბუქან დაკითხის-ძე წერეთ-
ელი, იე) ოქუში—ივანე კონსტანტინის
ძე გეგია, ივ) ზუგდიდში—დავით ბე-
სარიონის-ძე კვიციანი, იზ) სოხუმიში
—ანთიმოზ ივანეს-ძე ყუყუაძე, იტ)
ოზურგეთის მაზრაში—თ. ანდრია მ-
სელიძის-ძე ერისთავი და ით) შიო ან-
კის ძე შიუგაშვილი, კ) ძველ-სენაკში—
სამსონ გიორგის-ძე ფიფიაძე, კბ) ლეჩ-
ხუმის მაზრაში—თ. ქაიხოსრო გელ-
ოვანი, კგ) ფოთში—დეკანოზი გრიგოლ
მაჭარავი, კდ) ბათუმში—გრიგოლ დი-
მიტრის-ძე გ. შაშიანი, კე) დარუბანდ-
ში—ალექსანდრე ივანეს-ძე სასანაშვი-
ლი, კვ) კავკაზში—მიხეილ ზაფის-ძე
ყოფიანი.

(შემდეგი იქნება)

ქუჩულიანთ მხარის მუჯარი
შენიშვნა რედაქციისა.

გუჯარი დაწერილია პერგამენტზედ.
პერგამენტის სიგანე სამ გოჯანზედ.
ვარი იქნება და სიგე ორი არშინი.
დატულია სუფთად, რამდენსავე ალა-
გას ხელოვნური წარწერები აქვს
და ზოგი მათგანი ძველად იკითხება,
ზოგი ნაწერებიც განკუთვნილია წაშ-
ლილი სხვა-და-სხვა პირთაგან. გუ-
ჯარის თავზე დახატულია ფერადის
წამლებით მატეარარი, რომელსაც
სახე აღარ უჩანს ამის შემდეგ დახა-
ტულია ფერადისავე წამლებით
გიორგი მეფე, ტახტზე მუთაქა ძეგს
და მუთაქაზე ფეხმოკცილი ჰზის.
თავზე გვირგვინი ადგას, და მარ-
ჯვენა ხელში გუჯარი უჭირავს და
ხელი გაწვილი აქვს. ხელს ქვედად
დახატულია ქუჩულიანთ წარმომადგე-
ნი, რომელსაც მეფის წინაშე ორისავე
მუხლით დაჩოქილს ხელი გაუწვდენია
და გუჯარს სთხოვს. ქუჩულიან კარ-
გად სჩანს და მხოლოდ სახე აქვს
წაშლილი, უეჭველია, რომ განგებ
იზამდენ ამას.

ეს შესანიშნავი გუჯარი 1848 წ.
ბროსეს ფრანგულად გადუთარგმნია
და ფრანგულად ნათარგმნი „ქა-
თლის ცხოვრება“-ში დაუბეჭდია. (იხი-
ლე Hist. de la géorgie, introd.
XCV—XCIX). ამავე გუჯარს დიმი-
ტრი ბაქრაძე მოიხსენებს თავის შე-
ნიშვნებში, რომელიც ჩაურთავს მას
ვახუშტის ისტორიაში (გვ. 340).

ეს ღირს-შესანიშნავი სიგელი ბე-
რად საინტერესოა ჩვენის არხეოლო-
გიისა და ისტორიისათვის. ამ გვარი
მხატვრობა, რომელსაც სიგელი წარ-
მოადგენს, თუ სხვა კერძო სახლების
სიგელებსა და გუჯარებშიაც იპოება,
ძალიან სასარგებლოა, რომ იგინი ყვე-
ლანი ანუ ფოტოგრაფიით, ანუ მხატ-

ვრობითვე გადმოვაღებინოთ, რადგა-
ნაც ამ გვარად ჩვენ შევძლებთ ძვე-
ლი ჩვენი ტან-საცმელი და თვით მხა-
ტვრობის ხელოვნება შევისწავლოთ.

სიგელს აძლევს გიორგი მეფე ქუ-
რულს წინამძღვარს გიორგის და მის
ძმებს ავბაროზს და რატის, და მათს
შთამომავალთა უახლესს შემდეგ გი-
ორგისა მის-წული მისი მეფე ბაგრატ.
გიორგის სიგელში ნაჩვენებია ქორო-
ნიონი რმნ, ანუ 1463 წელი; ბაგ-
რატის სიგელი უჩვენებს ქორონი-
კონს რა, ანუ 1472. ეს ის გიორ-
გია, რომელიც მეფობდა 1445—1469
წ. და რომლის დროსაც სამუდამოდ
დაირღვა საქართველოს ერთობა.
იმის დროსვე ეკუთვნის აწინდელით
ამილანურიანთ წინაპარი იოთამ ზედ-
გინიძე, რომელიც, როგორც ყელას
სმენია, თავისი თავი უმხებერალა გი-
ორგი მეფეს და ამ სამსახურისათვის
გიორგიმ მის შთამომავლობას მიუ-
ბოძა ციხენი და მამულნი და სხა-
პეტობა ქართლისა, მოურაობა გო-
რისა, სასაფლაოდ სამთავისი და მეფის
კარის ამილანებობა (ნახე ვახუშ-
ტის ისტორია, გვ. 341)

ამ სიგელის ძალით გიორგი მეფე
უწყალობებს ქურულის გვარს სის-
ხლის გადსახადს, რომელიც ძველად
მას ჰქონია მინიჭებული და რომ-
ელიც მხოლოდ დიდ-გვარის სახლს
ეკუთვნოდა. მათ დიდ-გვარობას ამ-
ტოცებს თვით სიგელში ნაჩვენები
რიგი და წესი ბუბისა, რომელიც
მათს გასამართლებისათვის მათ სახლს
ძლევდა. სიგელი ამბობს: «ძველთა
მეფეთაგანაც ბოძებული იყო ცხრა-
ზმა და თქვენი გვარისა კაცი მისი
მონაპირე ყოფილა და მონასტრისა
და ციხისა შვილი და მქანებელი.»
ჩვენის ფიქრით, ამ სიტყვებიდან ცხა-
დად იგულისხმება, რომ ქურულნი
უნდა იყვნენ ქსნის ერისთავთ შალვა-
სა და ლარგველის ერთ-ტომნი და
ერთ-სისხლნი, თუმცა ჩვენ ამ საგან-
ზე სხვა საბუთი არა გვაქვს. ეს
იოქმის არა მარტო ქურულიანთ
გვარზე, არამედ თითქმის სხვა საქარ-
თელოს გამოჩენილ გვარებზედაც.
მიზეზი ეს არის, რომ აქამომდე გან-
ხილული და შესწავლული არა გვაქვს
ძველი სიგელები და გუჯარები. დროა
ამაზე მოვიფიქროთ. ნურაფრ იფი-
ქრებს, რომ ჩვენ რომელსავე კერძ-
გვარებობას შესაძინეს მნიშვნელო-
ბას ვაძლევდეთ, არა; მაგრამ გვართა
სიგელები შეერთებით შეიცავენ ნამ-
დვილს და უეჭველს წყაროს საქარ-
თელოს ისტორიისას, ჩვენის წარ-
სულის მიმდინარეობას და ბრუნვას,
იმის წყობილებას და ზნე-ჩვეულება-
თა ხასიათს, ურთიერთს დამოკიდე-
ბულებას სხვა-და-სხვა დროს გამოჩე-
ნილის გვარებისას ერისაღმი და ერი-
ნას გვარებისაღმი და სხ. და სხ. ერ-
თის სიტყვით. ვიდრე ამ გვარი წყა-
რობები არ გამოიკვლივა, ჩვენს ისტო-
რიას ცხოვრების ნამდვილ ისტორიად
სწავლა—მეცნიერება ვერ მიიღებს.

აი თვით გუჯარი:

ხელითა (ხელ-ჩართული) მღრთისათა ჩვენ...
ოჩსავე ტახტისა საკოფოსა ღისთ
იმერის და ღისთ ამერისა აფსაზთა,
ქართვლთა, რანთა, კასთა და სომეხთა
მსშე და შარვან შაქე და სრულისა აღ-
მოსაგლეითისა და დასავლეთისა თვით
მიგალობელი ხელშეიფედ, მტკიცედ მმურო-
ბულან მეფეთ მეფემან გიორგიმ და თა-
ნა მემცხედრემან ჩვენმან დეოფაღთა დე-

ლაფაღმან ნესტან დარეჯან და მქმან
ჩვენმან ალექსანდრე ესე მტკიცედ და
შუგაგებული წვალობისა სიგელი ამისა
ნიშნად გამოძიეთ ერისთავს შალვასა და
ლარგველისა კითხვათა მათისა მეკიდრი-
სა და თანა აღწერილ-შეწოდელსა და
მტკიცეყოფისა თქვენისა (აქ ორი სიტ-
ყვა სრულიად წაშლილია, განკუთვ. პირობ-
სა და მისა აღწერილ-შეწოდელსა)... ღისთ
მღვდლისა, გიორგისა და თქვენსა მძასა
ავგაროზსა და რატის და თქვენსა შალ-
ვას დემეტრესა და მძას-წულას შიოსი,
თქვენთა შვილთა და მომავლთა და (აქ
ერთი სიტყვა სხვისაგან წაბღაწულია) მ-
ტრონისა აბირანსა და სიაოშს მტრონ-
ისა თქვენისათა, მას ყმისა, ოჯეს მოხე-
დით წვალობად ჩვენისა და გეგუჯეთ რა-
თამც ჩვენსა სიგელითა ამით მტკიცე
გვეტა და შეგვეწოდებინეთ. ვისმინეთ ავა
და მოხსენება თქვენი მოკითხული და
ძველთა შეფუთვანაც ბოძებული იყო
ცხრა-ზმა და თქვენი გვარისა კაცი მისი
მონაპირე ყოფილა და მონასტრისა და
ცნისა შვილი და მქანებელი. აწ ჩვენსა
შეგუწულეთ და ძველად განხილი სისხ-
ლი გავიხსენეთ და გავიხსენეთ: ას-სამო-
ციათისი კილმანური თეთრი (კილმანური
ესწინდელი ორი შურია). ამა შირთა ზედა
თუ ვინმე გავდროს და თქვენი სავარო-
სა კაცი მავალს, დიდთა შემოსეწითა
ას-სამოციათისი კილმანური დაგეორგოს,
თუ ვინმე გავდროს ან ზედა დაქსნას, ან-
ცნას თქვენის გვარისა კაცსა, ომორც-და-
სუთი ათასი კილმანური დაგეორგოს დი-
დითა შემოსეწითა, თუ ვინმე სასახლე-
სა ზედა დაქსნას და ალაფი დაგიდოს,
იგივე ომორც-და-სუთი-ათასი კილმანური
დაგეორგოს და ნაცარცვი უგელებად შე-
მოგვეტა, თუ ვინმე მასელი შემოგვგას
და დატკვას, ოც-და-ათი-ათასი კილმანური
დაგეორგოს. თუ ვინმე ისარი გესრო-
ლოს, ომორც-ათასი დაგეორგოს, თუ
ვინმე ჯოგი და ან ნასირი გავტეხოს,
ომორც-ათასი დაგეორგოს, თუ ვინმე
თვალი წამოგუდოს, სამოციათისი დაგი-
ურგოს, თუ ვინმე ან ხელითა და ან
ფარსით დააშალოს, ომორც-და-ათი-ათასი
კილმანური დაგეორგოს, თუ ვინმე სხი-
ნარი რამე დააწიოს ოცი-ათასი დაგი-
ურგოს, თუ ვინმე ცეცხლი სასახლესა
შემოგაფროს, რაც სულა ჯადაბი სახლ-
ის შინა იყოს, მისი სისხლი სამართლი-
თა გაიბრჭოს და თუ ვინმე სასახლესა
გარეთ ცეცხლი შეგვას და დაწვას, ანუ
სამკელი, ან მან, ან თივა, ან წისკვი-
ლი, ან კანასისა სახლი, ანუ დობენა,
ოც-და-ათი-ათასი კილმანური დაგეორ-
გოს. თუ ვინმე ჯოხი და ან სხვა სხამად
საქმიელი რა გვრას, ათი-ათასი კილმანური
დაგეორგოს, თუ ვინმე ცოლსა უგვს,
ოც-და-ათი-ათასი დაგეორგოს, თუ ვინ-
მე ცნე კაციტეხოს, ომორც-ათასი და-
გიურგოს, თუ ვინმე მტკიცთა ზედა სა-
სიგელიდოდ გავტეხს, ომორც-და-ათი-ათას-
ისა დაგეორგოს, თუ ვინ ან ჯოგი ანუ
საქმიელი გავტეხს მტკიცთა ზედა, თხუთ-
მეტი ათასი დაგეორგოს და თუ სხვა
ანუ უპატობა, ანუ მუქარის თხოვნა და
ანუ სხვა რამე საქმი, ანუ შევივლი,
ანუ სხვა რა გინდა ვინ დაგიშაოს, მისნი
ბრჭენი და გამხელებნი იქმენ ანუ ვის-
კობოზნი, ანუ დაწაზის ვარისა ვაზირ-
ნი და მოსამართლენი კაცნი, ანუ ქაღა-
ქის კაჭანნი და ყოველთა ქვეყნათა მა-
კაღნი და მსახურენი კაცნი, ანუ ღვთის
მამაშნი და სულას კერძნი კაცნი და
ანუ ქვეყნისა მამასხლისნი და ძველნი
კაცნი; თქვენი საქმი ესე ვითართა კაცთა-
გან გაიბრჭობოდეს ჩვენსა წვალობით
ბოძებული სისხლი... და სისხლის განაწე-
ნი სიგელსა ზედა და ნუმცა ვინ არის
მშველი და მტკიცელი ჩვენსა ბოძებუ-

ლ.ს. მისი სასისხლოს სიგელისა და არა
შეიტყვებოდა ჩვენსა ბოძებული ესე სა-
სისხლო სიგელი არს ვითარცა მოსულ-
ობისათვის არა. თქვენ ყურული შეიღის
ძველდეს გიორგის და თქვენს მძას ავა-
როზსა და რატის და თქვენსა შვილისა
და მისა წულას შიოს თქვენთა შვილ-
თა და მომავლთა ყოველთა გვარისა
თქვენისათა გქმანდეს ჩვენსა ბოძებული
ესე ძველი და ჩვენსა მოკითხული და
განახლებული და წვალობით ბოძებული,
მტკიცე და უგაგებული სასახლო სი-
გელი და ბრძანება ესე ჩვენი და გვარის
იკადრისა ზედა და ქვედა ჩვენსა ბო-
ძებულისა სასისხლოს ამის განაწევისა,
ბრძანებისა და სიგელისა. გქმანდეს ბრძა-
ნება და სასისხლო განაწენი სიგელთა
თქვენ ყურულის შვილს ძველდეს გიორ-
გის და თქვენსა მძას ავგაროზსა და
რატის შვილთა მომავლთა ყოველთა სა-
ხლისა და გვარის თქვენისათა და გვარ-
ის სულა-სულა შეგვაგებდეს ჩვენსა ბოძე-
ბულის ამის განაწენისა სასისხლოსა სი-
გელისა და თქვენ ქრისტეს მიერ გურთ-
ხეულთა ქართლისა კათალიკოზსა და ეპის-
კოპოსონსა, ქართლის კრასთავონსა და
ერისთავთ ერისთავონსა და ყოველთა თა-
ვანთა ქართლისა და ქალაქისა ამირთა
და ამირთ ამირანთა დიო(დ)ნო (!) და
მეტამღენთა და ყოველთა ხელის უფალ-
ნი ქალაქისა და მთიულეთისა თაკა-
ნი და სკვის ბერთა და მამასახლისისა
და გარის ჩვენისა ვაზირთა და ყოველ-
ნი ჩვენსა მტკიცეყოფელთა და სულისა
მქმანებულთა, ნუ ვინ უშლით ჩვენსა
წვალობით ბოძებულსა სასისხლოსა განა-
წენსა სიგელსა თვინაურ შეწვენისა და
თანა მდგომისა. დაიწერა ბრძანება ესე
ჩვენსა სიგელი ინდიქტიონისა მეფობის-
სა ჩვენისა მუათოთისმეტეს ქ. გ. ნ. ს.
რ. მ. ნ. ხელითა ვარის მწიგნობრის
ჩვენისა და ჯვარის მტკიცეყოფისა ჯორა-
შვილისა განრეილისათა ივნისს ათორ-
მეტსა.

მეფეთ მეფე (ხელ-ჩართული) გიორგი
გამტკიცებ ჩვენ ქრისტეს ღვთის მიერ,
ქართლისა კათალიკოზი მარკოზ კანო-
ნიტ გამტკიცებ.

შემდგომად ამას ჩვენ ღვთივ გვირგვი-
ნოსანმან მეფეთ მეფემან ბაგრატ ნუბი-
თა ღვთისთა დავიპყრით მეფობა ორ-
სავე ტახტისა ღისთ ამერისა და ღისთ
ამერისა და ვინაეთ სიგელი ესე სასისხ-
ლო შეწვენისა ბიძის ჩვენის გიორგი-
საგან წვალობით ბოძებული და ჩვენსა
შეიტყვალეთ და დაგიტკიცეთ თქვენ წი-
ნამდგარსა ყურულსა გიორგის და თქვენ-
თა შვილთა და მძათა, რა გვარც ამ
სასისხლოს სიგელსა და განაწენსა მძარ-
თეს და ეფერების ამა წესითა თქვენი
საქმი და სისხლი განხდებოდეს და ნი-
შანი ესე გეობობები და დაგვიტკიცებთ
ას-სამოციათისი კილმანური თეთრი და
ვინცა კილმანურისა, თეთრისა ვითარება
არ იცოდეს კილმანური და ნებისა ზომს
არის. დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე
ჩვენსა ინდიქტიონისა მეფობისა ჩვენისა-
სა ქ. გ. ნ. ს. ხელითა ყოველად ცოდ-
ვილისა ქართლისა (....) იოანესითა.....
და მიმტკიცებთ.

ღვთივ გვირგვინოსან მეფეთ მეფესა
ბაგრატ ბიძისა მათისა ნაბოძები სა-
სისხლო დაუტკიცებთა ყურულისათვის.
მე გლანავი ქრისტესი კათალიკოზი და-
ვითი განონით გამტკიცებ ნებთა და დამა-
მტკიცებულნი დამთმან აკურთხეს და
წმინდამან დედა ქალაქის ცნეთისამან. ჩვე-
ნი სამთავნებთა მთავარ ეპისკოპოსონსა

მთუ, ვითა მეფეთა და ქართლისა ქათა-
ლიკოზთა დაუტკიცებთა კერთვე ჩვენ-
ცა კანონით გამტკიცებთ.

დეპეშა

10 ივნისს

საქართველოს ოფიციალური გაზეთი
ჩერხობარისა დაზარალებულთა ვარა-
გიანგევიჩსკე, რომელიც სერბიის
ტახტის დაჭრას სწავლობდა ამ-
ბობს რამ, თუ მართლად ვარა-გე-
რევიჩმა ტახტის ძიება დაიწყო,
მოგვლეს თვათავე იტვირთონ ზნუ-
ხის გეზ ამ საქმეშია.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს შედ ჩუპე (1886) წელიწადი.
ქვეყნის შემწიდი 7394.
ქველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი — უმწ=478
წელი. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი — მბ=42 წე-
ლიწადი. დაიწყო 1844 წ. და თავდება
2376 წ.

1886 წლის ზედ-ნაღები—3.

ივნისი 30 დღით არის.

12 დღე ხუთშაბათი. ღირს. ონოფ-
რესი, პეტრე პოპონისა და არსენისი.
სომ. წმ. იოანე წინა-მორბედისა, პანაგინე
ეპისკოპ. კათოლ. დღესასწაული ხორცისა
და სისხლისა იესო ქრისტესი.

ოსმალეითა და სწავლეთა ერთმანეთ-
ში შირთა შეტყვევება, რომლის ძალითაც
ქართლი და კასეთი ოსმალეის მიფლო-
ბულობის ქვეშ შევიდა 1724 წ. ამავე
დღეს შეტყვევდა რუსეთი და ოსმალეითა
შირთა, რომლის ძალითაც რუსეთს უნ-
და დაწამოდა კასპიის სანაპირზედ მდე-
ბარე ადგილები და ოსმალეის—საქარ-
თველი, და ერევანის და თაკრიზის მსა-
რეები 1724 წ.

ქეშარიტი შუა-დღე 12—2—6; ტფი-
ლისში შუე ამოდის 4—26, ჩადის 7—38;
მოვარე ამოდის 11—54, ჩადის 11—29;

13 დღე შარსაკვეთი. ქალწ. მოწ.
აინიანისი, ღირს. ანასი. სომ. წმ. ნანატონა-
ქი. კათოლ. ანტონისა და ლუციანისი. ქეშ-
არიტი შუა-დღე 12—2—19; ტფილისში
შუე ამოდის 4—26, ჩადის 7—38; მოვარე
ამოდის 12—20, ჩადის 12—27.

14 დღე შაბათი. წინ. მეტე. ელი-
სესი, მეოდი პატრიარხისა. სომ. წმ.
გიორგის, სომეხთა განმანათლებლისა ხა-
როდგან აღმოსვლა. კათოლ. ელისეისა და
ვასილისა. ქეშარიტი შუა-დღე 12—2—
32; ტფილისში შუე ამოდის 4—26, ჩადის
7—38; მოვარე ამოდის 12—53, ჩადის
1—26.

15 დღე კვირა. წინ. მეტე. ამოსისა.
სომ. დღესასწაული ეჩმიაძინის კველსიო-
სა. კათოლ. ვიტასი და კრესცენციასი.
ქეშარიტი შუა-დღე 12—2—44; ტფილის-
ში ამოდის 4—26, ჩადის 7—38; მოვარე
ამოდის 1—29, ჩადის 2—27.

ბამოსადეგი ცნობანი

ნინო

Table with 2 columns: Day, Time. Row 1: 1 ივნისიდან 1-ლ ივლისამდე. Row 2: თეთრი შური რუსული 1 გრ. 5 კაზ. Row 3: წითელი შური 1-ის გარისისა 2 1/2. Row 4: > > 2. Row 5: თონის წითელი შური 1-ის ხარის. 4 1/2. Row 6: > > 2. Row 7: > > 3. Row 8: > > 2 1/2.

ვკრის მამის შურის ღირება	
1-დის სარისხისა	4 1/2
მე-2 სარისხისა	3 1/2
მე-3 —	3
ძროხის ხორცი 1-დის სარისხისა	8
სუკა	7
ცხვრის ხორცი	14
	7

ტო ნოკორთისისკ და კერძო შვილის.
შორის გზით შაბათობით 8 საათ. სა-
ღამოზე (ქველას საკთ-სადგურებში შეი-
ღის).
კვირობით საღამოთი სტამბოლად-
მიდის.
ბათუმში მოდის ოდესიდან: სამშაბათ-
ობით შუა-ღამის შორის გზით მოკლეს
გზით—დილით.
შაბათობით სტამბოლად მოდის და-
ლით.

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის		გადის		სტანციები	მოდის		გადის	
	საათ.	წამი.	საათ.	წამი.		საათ.	წამი.	საათ.	წამი.
ტფილისი	—	—	8	35	ბათუმი	—	—	8	35
ავჯოლა	8	52	8	55	ქობულეთი	9	25	9	28
მცხეთა	9	13	9	21	ნატანები	9	54	9	57
ქსანი	9	39	9	41	სუფსა	10	21	10	27
კასპი	10	6	10	9	ლანჩხუთი	11	—	11	3
გრაკალი	10	29	10	31	ნიგოთი	11	14	11	16
გორა	10	54	11	4	საჯავახო	11	39	11	41
ქარელი	11	33	11	36	სამტრედა	11	56	12	15
გომი	12	—	12	4	კობიტნარი	12	35	12	37
საშურა	12	21	12	41	რიონი	1	7	1	20
სურამი	12	53	12	56	აჯამეთი	1	32	1	34
ფონი	1	24	1	27	ყვარიალა	2	11	2	26
ბეჭათუბანი	2	14	2	34	ძირულა	3	4	3	6
მარეოსი	3	3	3	5	ბელაგორი	3	33	3	36
ბელაგორი	3	32	3	35	მარეოსი	4	3	4	5
ძირულა	4	2	4	5	ბეჭათუბანი	4	34	4	54
ყვარიალა	4	43	4	58	ფონი	5	41	5	44
აჯამეთი	5	35	5	37					

ქუთაისიდან გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 20 წამზე და სა-
ღამოზე 5 საათსა და 15 წამზე.
რიონიდან ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზე და
საღამოს 6 საათსა და 20 წამზე.

ტფილისსა და სურამს შუა

სტანციები	მოდის		გადის		სტანციები	მოდის		გადის	
	საათ.	წამი.	საათ.	წამი.		საათ.	წამი.	საათ.	წამი.
ტფილისი	—	—	3	15	სურამი	—	—	2	35
ავჯოლა	3	38	3	41	საშურა	2	47	3	2
მცხეთა	4	6	4	16	გომი	3	26	3	31
ქსანი	4	42	4	45	ქარელი	4	5	4	12
კასპი	5	20	5	25	გორა	4	53	5	8
გრაკალი	5	53	5	56	გრაკალი	5	40	5	45

განცხადებანი
ბრ. ჩარკვიანის
ქართულ წიგნის მაღაზიაში ისუი-
დება ახლად შედგენილი
ქართული ხეობი
ნოტებზედ გადაღებული ან ბე-
ნაშვილისაგან.
ფასი 1 მან. და 60 კაპ.

ბრ. ჩარკვიანის
ქართულ წიგნის მაღაზიაში
ისეიადება
რუსულ ქართული
ლექსიკონი
სკლასიკად გადაკეთებული ახლად ლექს-
სიკონისა და გამოცემულია დ რუბი-
ნოვისაგან.
ფასი თითო წიგნისა 3 მ. 60 კ.

ბიბლიოგრაფიული განცხადება
დაიბეჭდა
ქილია და ლაქანა
მეფის მახტან VI სა
გრიგოლ გურაელის გამოცემა
ილია ჭყონის რედაქციით.
ფასი სამი მანათი.
საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებლის საზო-
გადოების სამმართველოში, ბანკის ქუჩა (Банковский переулок),
№ 23. ისეილება ტფილისში: გრიჭოროვის და ჩარკვიანის წიგნთა
მაღაზიებში, ქუთაისში—ძმათა ქილაძეების წიგნთა მაღაზიაში;
ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიაში. ოზურგეთში—
რაქდენ წუწუნავასთან. ვინც ერთად ნაღდ ფულზე იყიდის თვით
საზოგადოების სამმართველოში არა ნაკლებ 20 ცალისა, იმას
დაეთმობა წიგნზე ათი შაური.

გამოცემა გ. დ. ქართველშვილისა.
ახლად დაიბეჭდა და ისეილება თბილისში გრიჭოროვის და
ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში ზილაძის მაღა-
ზიაში:

ვასუშტი
საქართველოს ისტორია

განმარტებული და შეესებული ახლად შექმნილი არხეოლოგი
რის და ისტორიულის ცნობებით
დამატრა ზ. ბაქრაძის მიერ.
ნაწილი პირველი
ძველის საქართველოს საზოგადო ქარტით.
შედგენილი და დასატული ქვეყნად ნ. ი. წილანისაგან, და ამოჭრა
და გ. ტატიშვილისაგან.
თითო წიგნი ღირს სამ მანათად.
ამ წიგნის შინაარსია: 1) სამი წინა-სიტყვაობა: პირველი,
ანუ განხილვა ძველის ქართულის ხრონოლოგიისა (ვახუშტისა);
მეორე, ანუ ცნობა ვახუშტზე და იმის ქარტზე (ბროსისესი); მე-
სამე, ანუ ქართულის ისტორიის წყაროები და და ქართლის ცხოვ-
რებისა ღირსება (ბაქრაძისა). 2) საქართველოს ძველი წესდებანი
და ზნე-ჩვეულებანი; ისტორია ძველის დროდამ 1469 წლამდე,
ანუ საქართველოს დანაწილებამდე სამეფო-სამთავროებად.

აკ წინაწინებში შემოტანილია, გარდა მსოფლიო ისტორიუ-
ლის ცნობებისა, რომელნიც გვიჩვენებენ უცხო-ტომთ გავლენას
ჩვენს გეოგრაფიულ, ის ცნობანი, გარეგანი და შინაგანი (სხვა-და-
სხვა ხრონიკებიდან, გუჯრებიდან და წარწერებიდან), რომელნიც
არაინ აღმოჩენილი ჩვენ დროს.
წიგნის ბოლოს ჩართულია: 1) ახალ დამატებაში შთამომავ-
ლობის ხე მეფეთა და მთავართა გიორგი VIII-მდე (+ 1469 წ.).
აკ თვითოეულს მეფობაში ნაჩვენებია ყოველივე მის დროს შესა-
ნიშნავი ისტორიული შემთხვევა ისე, რომ ეს დამატება შეიცავს
ცალკე შემოკლებით მთელს საქართველოს ისტორიას; 2) საზო-
გადო საქართველოს ქარტა ძველის ისტორიულის ნომენკლატურ-
ით (სახელ-წოდებით), იმ გვარად დახატული, რომ იმის მთა-
ხეობათა მიმდინარეობა ადვილად უჩვენებს ბუნებითს დანაწილებას
ჩვენის ქვეყნისა თემ-თემებად.

ამ გვარადვე შესდგება მეორე და მესამე ნაწილი «ვახუშტის
ისტორიისა». «მეორე ნაწილს» საგნად ექნება: ქართლის სამეფოს
გეოგრაფია და ისტორია; კახეთის სამეფოს გეოგრაფია და ისტო-
რია. აკ ჩაერთვის ქართლ-კახეთის მეფეთა შთამომავლობა და ქართლ-
კახეთის ქარტა. ჩაერთვის აგრეთვე მხატვრობა, როგორც ყველა
ქართულის მანათებისა მათის განმარტებით, აგრეთვე ჩვენის მწერ-
ლობის ნიმუშებისა ძველის დროდამდე ისე, რომ მკითხველმა ყვე-
ლა საუკუნოების მწერლობის ხასიათი შეიგნოს. ეს ნაწილი გა-
მოცემა მომავალ წელში.
მესამე ნაწილი, გეოგრაფია და ისტორია დასავლეთის სა-
ქართველოსა, ანუ იმერეთისა და სამცხე-საათაბაგოსი თვით
შთამომავლობით და ქარტით და სრულის აღფაბეტით გამოიცე-
მა 1887 წელს.
(20—7)

ბიბლიოგრაფიული განცხადება
დაიბეჭდა
რობინზონ კრუზე, თხზულება
დეფოისი, თარგმანი რუსულიდან
ანასტასია თუმანიშვილისა. გამო-
ცემა წერა-კითხვის გამავრცელებ-
ლის საზოგადოებისა.

ფასი მესამი შაური
საწყობი წიგნისა არის წერა-კი-
თხვის გამავრცელებლის საზოგა-
დოების კანცელარიაში, ბანკის ქუ-
ჩაზე (Банковский переулок), სახ-
ლის № 23. ისეილება ტფილისში:
გრიჭოროვისა და ჩარკვიანის წიგნ-
თა მაღაზიებში; ქუთაისში—ძმათა
ჭილაძეების და ხონში—ნესტორ
წერეთლის წიგნთა მაღაზიებში.
ვინც ნაღდ ფულზე იყიდის თვით
საზოგადოების კანცელარიაში არა
ნაკლებ 10 ცალისა, იმას დაეთმობა
წიგნი ხუთ შაურად. (10—4)

ბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოცე-
მა
თხზულებანი
ა. მ. მოხუბარაძისა (ვახუშტი)
პირველი ტომის მეორე ნაწილი.
ამ წიგნზედ ხელის მომწერთ, რო-
მელთაც კვიტანცია აქვთ, სურვილი-
სამებრ შეუძლიანთ მიიღონ მეორე ნა-
წილის მაგიერად პირველი ნაწილი
გ. ჩარკვიანის წიგნების მაღაზიაში.
(5—5)

ისეილება მოსე ჯანაშვილის-მიერ
შედგენილი წიგნები:
საქართველოს მოკლე ისტორია
ფასი 60 კაპ.
(ეს წიგნი უმაღლესის მთავრობისაგან მო-
წონებულია).
საქართველოს სამოქალაქო ისტორია
ფასი 45 კაპ.
მეცხეალი
ფასი 7 კაპიკი.

შემდეგს ადგილებში: **ტფილის-
ში**: გრიჭოროვისა და ჩარკვიანის
წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე
შემადგენელისა. **ქუთაისში**: ჭილა-
ძის მაღაზიაში. **თელავში**: ვ. როს-
ტომასოვიდან; **საგნაში**: ვ. ქობი-
აშვილიდან; **სურამში**: ა. ქარსიძე-
სთან; **ფონში**: ნუმარაძესთან. **ყვი-
რაღაში** ბლად. დამბაშიძესთან.
ვინც 20 ცალს «ა» გამოცემი-
სას დაიბარებს პირ-და-პირ გამო-
ცემლისაგან (Тифлесь Михайл.
ул. Г. Д. Картвелишвили). იმას
წიგნი დაეთმ 1 მან. და 60 კაპ.
(10—8)

დაიბეჭდა და ისეილება გრიგ-
ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში „მე-
თოდიური სახელმძღვანელო სამ-
შობლო ენის შესასწავლებლად“,
შედგენილი ა. ნათაძისაგან. ფასი
20 კაპიკი. (5—5)